ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის
შესახებ № 2288/316

ქ. თბილისი 5 დეკემბერი 2012 წ.

ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ერთის მხრივ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენელი მინისტრის პირველი მოადგილის გოგი ფაცაციას სახით და ინდ. მეწარმე „დავით მილორავა (შემდგომში "მიმწოდებელი"), წარმოდგენელი დავით მილორავას სახით მეორეს მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (შემდგომში – „ხელშეკრულება") – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე დართული ყველა დოკუმენტით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული;

1.2. შემსყიდველი ორგანიზაცია (შემდგომში „შემსყიდველი") - ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. მიმწოდებელი ორგანიზაცია (შემდგომში „მიმწოდებელი") - ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4. ხელშეკრულების ღირებულება - ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5. „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ "საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში სამინისტროს ბალანსზე რიცხული მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილის ნისან პატრულის მარკის (სახ. NZDZ-793) ავტომანქანის საჭიროებისათვის 1 (ერთი) ცალი „ვარტა 95A" ტიპის ტყვიამჭავური აკუმულატორის შესყიდვა.

2.2. CPV 31431000 ტყვიამჭავური აკუმულატორები.

2.3. შესყიდვის საშუალებად გამოყენებულია „გამარტივებული შესყიდვა" შესყიდვის განხორციელების საფუძველია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის მოთხოვნები.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. საქონლის ერთეულის ფასი: 1 (ერთი) ცალი „ვარტა 95A" ტიპის ტყვიამჭავური აკუმულატორის ღირებულება შეადგენს - 300 (სამასი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით;

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება. იგი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხზე და დროულობაზე, პასუხს აგებს და სრულად აუნაზღაურებს „შემსყიდველს" მისთვის მიყენებულ ზარალს;

4.2. „მიმწოდებელი" პასუხს აგებს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისიწნებული გადასახადების გადახდაზე;

4.3. „შემსყიდველი" ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი და შესრულებული ვალდებულებები აანაზღაუროს სრულად;

4.4. "შემსყიდველი" არ აგებს პასუხს "მიმწოდებლის" მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე, მესამე პირისათვის მიყენებულ ზიანზე ან/და ზარალზე.

მუხლი 5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი და მიწოდების ადგილი

5.1. საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმებისა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

5.2. საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი სამტრედიის N26

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. „შემსყიდველი" უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს საქონლის შესყიდვის მიმდინარეობის შესაბამისობის შემოწმება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;

6.2. „შემსყიდველის" მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისობის ინსპექტირებას განახორციელებს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტზე ხელის მოწერას - მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი ჯულიეტა ჯიშკარიანი;

6.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „შემსყიდველი" დაუყოვნებლივ აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით, ხოლო გამოვლენილი დაზიანების ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს", საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. მიწოდებული საქონლის ხარისხი და გარანტია

7.1. „მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი იქნება მაღალხარისხიანი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა ან ანალოგიური მაჩვენებლების მქონე ახალი საქონლით ჩანაცვლება.

7.2. მიწოდებული საქონლის საგარანტიო ვადა შეადგენს 2 წელს.

მუხლი 8. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

8.1. ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში;

8.2. საქონლის მიწოდების ანაზღაურება განხორციელდება „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმებისა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ 20 სამუშაო დღის ვადაში;

8.3. ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

მუხლი 9. ფასები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 პუნქტში დაფიქსირებული საქონლის ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს და მისი გაზრდა დაუშვებელია.

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, „შემსყიდველი" არ არის ვალდებული წარუდგინოს „მიმწოდებელს" რაიმე მტკიცებულება იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა;

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 11. უფლებების გადაცემა

11.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

მუხლი 12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

მუხლი 13. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,7 %-ის ოდენობით.

მუხლი 14. ხელშეკრულებიდან გასვლა

14.1. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით;

14.2. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება ეს ხელშეკრულება და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები.

მუხლი 15. დავების გადაწყვეტის წესი

15.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით მოაგვარონ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი უთანხმოება და დავა, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში მიმართონ სასამართლოს.

მუხლი 16. სხვა პირობები

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრამდე.

16.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

მუხლი 17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ს. კოდი 200037646 მის: ქ. თბილისი თამარაშვილის 15ა ტელ: 2 31 15 80 სახელმწიფო ხაზინა ბ. კოდი 220101222 ა/ა 200122900 მინისტრის პირველი მოადგილე გოგი ფაცაცია	ინდ. მეწარმე „დავით მილორავა“ მის: ქ. თბილისი სამტრედიის ქ.26 ს. კოდი 62004023031 ტელ : 599 15 92 21 სს „ საქართველოს ბანკი“ ბ. კოდი : BAGAGE22 ა/ა GE10BG 0000 0002 9863 5500 დავით მილორავა